საქართველოს პარლამენტი

# 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-მაისის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

# მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
ივნისი

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

| | | |
|---|---|---|
| შემოსულობები - 11,129.6 მლნ ლარი | 84.2% 6 თვის გეგმის | 40.4% წლიური გეგმის |
| გადასახდელები - 10,542.3 მლნ ლარი | 77.2% 6 თვის გეგმის | 37.7% წლიური გეგმის |

| | | |
|---|---|---|
| ნაშთის ცვლილება 587.3 მლნ ლარი | საოპერაციო სალდო 1,334.0 მლნ ლარი | მთლიანი სალდო 370.3 მლნ ლარი |

## შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები







## გადასახადების სტრუქტურა




## ხარჯების სტრუქტურა



# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2025 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 11,129.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,560.8 მლნ ლარი) 40.4%-ს და 6 თვის გეგმის[1] (13,221.6 მლნ ლარი) 84.2%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,013.9 მლნ ლარით (10.0%-ით) აღემატება (ძირითადად, შემოსავლების კომპონენტის მატების გავლენით).

2025 წლის 5 თვეში **გადასახდელები** 10,542.3 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,941.7 მლნ ლარი) 37.7%-ს და 6 თვის გეგმის (13,656.8 მლნ ლარი) 77.2%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 5 თვის მაჩვენებელს 672.2 მლნ ლარით (6.8%-ით) აჭარბებს (ძირითადად, ხარჯების კომპონენტის მატების გავლენით).







**შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება,** 6 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებლები აქვს შემოსავლებსა (88.1%) და არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობებს (86.8%), ვალდებულებების ზრდის კომპონენტი დაბალი (52.6%) მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები გადაჭარბებით გამოირჩევა და 110.4%-ს შეადგენს.

**გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით,** 6 თვის გეგმის შესრულების მხრივ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 80.1% და 86.1%), არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს დაბალი მაჩვენებელი (54.7%) აქვს, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები გადაჭარბებით გამოირჩევა (6 თვის გეგმის 127.2%).







[1] 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება).

**სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი** წლის დასაწყისისათვის 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა. 5 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 587.3 მლნ ლარი შეადგინა და 2025 წლის 1 ივნისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,973.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.




2025 წლის იანვარ-მაისში, სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 1,334.0 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** 370.3 მლნ ლარი შეადგინა.




**გადასახადების** სახით იანვარ-მაისში მობილიზებულია 8,885.4 მლნ ლარი, რაც 6 თვის გეგმის 84.8%-ს და წლიური გეგმის 40.6%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით, გადასახადების 6 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 73.2% - 85.1%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, 6 თვეში დაიგეგმა 150.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად კი 486.2 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელთან შედარებით, გადასახადები გაზრდილია 323.3 მლნ ლარით (3.8%-ით), ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის, აგრეთვე, დღგ-ის, შესაბამისად, 13.5%-იანი, 3.7%-იანი მატების გავლენით.




**ხარჯების** მაჩვენებელმა, 5 თვეში, 8,663.9 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 80.1% და წლიური გეგმის 39.7% შეადგინა. სახეების მიხედვით ხარჯების 6 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, პროცენტის მუხლი მაღალი (88.8%-იანი) მაჩვენებლით გამოირჩევა, სოციალური უზრუნველყოფისა (84.1%) და სხვა ხარჯების (81.1%), აგრეთვე, შრომის ანაზღაურების (76.2%) მუხლები კარგი შესრულებით ხასიათდება, ხოლო გრანტების (74.8%), სუბსიდიების (74.9%), საქონლისა და მომსახურების ხარჯებს (70.0%) დაბალი მაჩვენებელი აქვს. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 798.9 მლნ ლარით (10.2%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მატების გავლენით.



## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

| დასახელება | 2024 წლის 5 თვის ფაქტი | 2025 წლის წლიური გეგმა | 2025 წლის 6 თვის გეგმა* | 2025 წლის 5 თვის ფაქტი | 6 თვის გეგმის შესრულების % | წლიური გეგმის შესრულების % | %-ული ცვლილება წინა წლის 5 თვის ფაქტთან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **10,115.6** | **27,560.8** | **13,221.6** | **11,129.6** | **84.2%** | **40.4%** | **10.0%** |
| **შემოსავლები** | **9,116.9** | **23,434.9** | **11,345.9** | **9,998.0** | **88.1%** | **42.7%** | **9.7%** |
| გადასახადები | 8,562.0 | 21,885.0 | 10,481.0 | 8,885.4 | 84.8% | 40.6% | 3.8% |
| საშემოსავლო გადასახადი | 2,738.2 | 7,369.0 | 3,652.0 | 3,108.3 | 85.1% | 42.2% | 13.5% |
| მოგების გადასახადი | 1,385.5 | 3,070.0 | 1,545.0 | 1,222.7 | 79.1% | 39.8% | -11.7% |
| დღგ | 2,988.8 | 8,136.0 | 3,816.0 | 3,099.7 | 81.2% | 38.1% | 3.7% |
| აქციზი | 940.3 | 2,650.0 | 1,245.0 | 911.1 | 73.2% | 34.4% | -3.1% |
| იმპორტის გადასახადი | 56.4 | 150.0 | 73.0 | 57.4 | 78.6% | 38.2% | 1.7% |
| სხვა გადასახადები | 452.8 | 510.0 | 150.0 | 486.2 | 324.1% | 95.3% | 7.4% |
| გრანტები | 129.6 | 199.9 | 96.0 | 81.3 | 84.7% | 40.7% | -37.3% |
| სხვა შემოსავლები | 425.3 | 1,350.0 | 768.9 | 1,031.3 | 134.1% | 76.4% | 142.5% |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **61.8** | **300.0** | **145.0** | **125.9** | **86.8%** | **42.0%** | **103.8%** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **174.9** | **400.0** | **165.0** | **182.1** | **110.4%** | **45.5%** | **4.1%** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **762.0** | **3,425.9** | **1,565.7** | **823.6** | **52.6%** | **24.0%** | **8.1%** |
| საშინაო | 298.9 | 1,600.0 | 769.7 | 568.3 | 73.8% | 35.5% | 90.1% |
| საგარეო | 463.1 | 1,825.9 | 796.0 | 255.3 | 32.1% | 14.0% | -44.9% |
| | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **9,870.1** | **27,941.7** | **13,656.8** | **10,542.3** | **77.2%** | **37.7%** | **6.8%** |
| **ხარჯები** | **7,865.0** | **21,842.0** | **10,812.9** | **8,663.9** | **80.1%** | **39.7%** | **10.2%** |
| შრომის ანაზღაურება | 1,026.9 | 3,035.0 | 1,514.1 | 1,154.0 | 76.2% | 38.0% | 12.4% |
| საქონელი და მომსახურება | 898.8 | 2,485.3 | 1,265.7 | 885.8 | 70.0% | 35.6% | -1.4% |
| პროცენტი | 672.1 | 1,745.0 | 867.8 | 770.8 | 88.8% | 44.2% | 14.7% |
| სუბსიდიები | 421.3 | 1,021.6 | 537.0 | 402.4 | 74.9% | 39.4% | -4.5% |
| გრანტები | 617.2 | 1,856.5 | 850.0 | 635.8 | 74.8% | 34.2% | 3.0% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3,159.3 | 8,446.3 | 4,233.2 | 3,561.7 | 84.1% | 42.2% | 12.7% |
| სხვა ხარჯები | 1,069.3 | 3,252.3 | 1,545.2 | 1,253.4 | 81.1% | 38.5% | 17.2% |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **1,417.6** | **4,258.9** | **1,992.4** | **1,089.6** | **54.7%** | **25.6%** | **-23.1%** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **90.9** | **424.1** | **136.1** | **173.0** | **127.2%** | **40.8%** | **90.2%** |
| **ვალდებულებების კლება** | **496.5** | **1,416.7** | **715.4** | **615.7** | **86.1%** | **43.5%** | **24.0%** |
| საშინაო | 12.7 | 42.9 | 24.9 | 10.1 | 40.3% | 23.4% | -20.8% |
| საგარეო | 483.8 | 1,373.8 | 690.5 | 605.7 | 87.7% | 44.1% | 25.2% |
| | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / - გამოყენება) | **245.5** | **-381.0** | **-435.2** | **587.3** | | | |

* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №434)

## დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

| დასახელება | 2024 წლის 5 თვის ფაქტი | 2025 წლის წლიური გეგმა | 2025 წლის 6 თვის გეგმა | 2025 წლის 5 თვის ფაქტი | 6 თვის გეგმის შესრულების % | წლიური გეგმის შესრულების % | %-ული ცვლილება წინა წლის 5 თვის ფაქტთან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **9,116.9** | **23,434.9** | **11,345.9** | **9,998.0** | **88.1%** | **42.7%** | **9.7%** |
| გადასახადები | 8,562.0 | 21,885.0 | 10,481.0 | 8,885.4 | 84.8% | 40.6% | 3.8% |
| გრანტები | 129.6 | 199.9 | 96.0 | 81.3 | 84.7% | 40.7% | -37.3% |
| სხვა შემოსავლები | 425.3 | 1,350.0 | 768.9 | 1,031.3 | 134.1% | 76.4% | 142.5% |
| **ხარჯები** | **7,865.0** | **21,842.0** | **10,812.9** | **8,663.9** | **80.1%** | **39.7%** | **10.2%** |
| შრომის ანაზღაურება | 1,026.9 | 3,035.0 | 1,514.1 | 1,154.0 | 76.2% | 38.0% | 12.4% |
| საქონელი და მომსახურება | 898.8 | 2,485.3 | 1,265.7 | 885.8 | 70.0% | 35.6% | -1.4% |
| პროცენტი | 672.1 | 1,745.0 | 867.8 | 770.8 | 88.8% | 44.2% | 14.7% |
| სუბსიდიები | 421.3 | 1,021.6 | 537.0 | 402.4 | 74.9% | 39.4% | -4.5% |
| გრანტები | 617.2 | 1,856.5 | 850.0 | 635.8 | 74.8% | 34.2% | 3.0% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3,159.3 | 8,446.3 | 4,233.2 | 3,561.7 | 84.1% | 42.2% | 12.7% |
| სხვა ხარჯები | 1,069.3 | 3,252.3 | 1,545.2 | 1,253.4 | 81.1% | 38.5% | 17.2% |
| **საოპერაციო სალდო** | **1,251.9** | **1,592.9** | **533.0** | **1,334.0** | **250.3%** | **83.7%** | **6.6%** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **1,355.8** | **3,958.9** | **1,847.4** | **963.8** | **52.2%** | **24.3%** | **-28.9%** |
| ზრდა | 1,417.6 | 4,258.9 | 1,992.4 | 1,089.6 | 54.7% | 25.6% | -23.1% |
| კლება | 61.8 | 300.0 | 145.0 | 125.9 | 86.8% | 42.0% | 103.8% |
| **მთლიანი სალდო** | **-104.0** | **-2,366.0** | **-1,314.4** | **370.3** | **-28.2%** | **-15.6%** | **-456.2%** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **161.5** | **-356.9** | **-464.2** | **578.1** | **-124.6%** | **-162.0%** | **257.9%** |
| **ზრდა** | **336.4** | **424.1** | **136.1** | **760.3** | **558.8%** | **179.3%** | **126.0%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 245.5 | 0.0 | 0.0 | 587.3 | | | 139.2% |
| სესხები | 89.8 | 421.7 | 133.6 | 85.9 | 64.3% | 20.4% | -4.4% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 1.2 | 2.5 | 2.5 | 87.1 | 3556.8% | 3556.8% | 7322.5% |
| **კლება** | **174.9** | **781.0** | **600.2** | **182.1** | **30.3%** | **23.3%** | **4.1%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 381.0 | 435.2 | 0.0 | 0.0% | 0.0% | |
| სესხები | 174.9 | 400.0 | 165.0 | 182.1 | 110.4% | 45.5% | 4.1% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | | |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **265.5** | **2,009.1** | **850.3** | **207.9** | **24.4%** | **10.3%** | **-21.7%** |
| **ზრდა** | **762.0** | **3,425.9** | **1,565.7** | **823.6** | **52.6%** | **24.0%** | **8.1%** |
| საშინაო | 298.9 | 1,600.0 | 769.7 | 568.3 | 73.8% | 35.5% | 90.1% |
| საგარეო | 463.1 | 1,825.9 | 796.0 | 255.3 | 32.1% | 14.0% | -44.9% |
| **კლება** | **496.5** | **1,416.7** | **715.4** | **615.7** | **86.1%** | **43.5%** | **24.0%** |
| საშინაო | 12.7 | 42.9 | 24.9 | 10.1 | 40.3% | 23.4% | -20.8% |
| საგარეო | 483.8 | 1,373.8 | 690.5 | 605.7 | 87.7% | 44.1% | 25.2% |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | | | |

საქართველოს პარლამენტი